

DRI

# რელიგიური აქტორები

წინასწარჩევნო  
კამპანიებში

(რეგულაციები  
და რეალობა  
შეღარებითი  
ანალიზი)

დემოკრატიის  
კვლევის  
ინსტიტუტი

2021

## ანგარიში მოამზადა: **ლარს ჰეზიშმა**

### **სარჩევი**

<b>2</b>	<b>შესავალი</b>
<b>3</b>	<b>ვატიკანი</b>
<b>5</b>	<b>ჩეხეთის რესპუბლიკა</b>
<b>7</b>	<b>ბერმანია</b>
<b>8</b>	<b>ლიეტუვა</b>
<b>8</b>	<b>გაერთიანებული სამეფო</b>
<b>11</b>	<b>ამერიკის შეერთებული შტატები</b>
<b>14</b>	<b>დასკვნა</b>

## შესავალი

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დაკვირვება ცხადყოფს, რომ სასულიერო პირები ხშირ შემთხვევაში აქტიურად მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური ორგანიზაციების საარჩევნო კამპანიაში ჩართულობას კრძალავს როგორც საქართველოს საარჩევნო კოდექსი, ისე წმინდა სინოდის 2012 წლის განჩინება. შესაბამისად, თავს იჩენს შემდეგი კითხვები: ასეთი გავლენა პრობლემურია თუ არადემოკრატიული? რა საერთაშორისო სტანდარტები არსებობს რელიგიური ორგანიზაციებისა და სასულიერო პირების მიერ პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის თაობაზე? წინა დასკვნების გასაანალიზებლად, მოკლედ განვიხილავთ რეგულაციებსა და რეალობას, რაც ხუთ მსგავს ქვეყანაში არსებობს საარჩევნო კამპანიაზე რელიგიური გავლენის თვალსაზრისით. ეს ქვეყნებია: ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, ლიეტუვა, გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები.

აღნიშნული მიზნად ისახავს არა სრულმასშტაბიან სამეცნიერო შედარებას, არამედ საქართველოს სიტუაციის სხვა საინტერესო მაგალითებთან შეპირისპირებას, (რეგიონული) კონტექსტის მხედველობაში მიღებით. ლიეტუვა და ჩეხეთის რესპუბლიკა ასევე საბჭოთა/ვარშავის პაქტის ყოფილი წევრი სახელმწიფოები არიან. ამასთან, ლიეტუვაში, სადაც ერთი დომინანტური ეკლესიაა, რელიგია მძლავრობს, ხოლო ჩეხეთის რესპუბლიკის მოსახლეობა ძირითადად არარელიგიურია. გერმანია საინტერესო მაგალითია იმდენად, რამდენადაც საქართველოს სამართლის სისტემა და კოდექსი გერმანულთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. გაერთიანებულ სამეფოში რელიგიის გავლენა წინასაარჩევნო კამპანიაზე ამჟამად პარლამენტში განიხილება. შესაბამისად, ამ მაგალითით ბოლოდროინდელი დებატები იქნება წარმოჩენილი. ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთაშორისო სტანდარტები მთელ რიგ საკითხებთან მიმართებით არის ინკორპორირებული. იმავედროულად, აშშ საინტერესო შედარების შესაძლებლობას იძლევა იმის გამო, თუ რამდენად მჭიდროდ არის გადაჯაჭვული რელიგია და პოლიტიკა. დასაწყისისთვის, მოკლედ მიმოვიხილავთ კათოლიკური კანონიკური სამართლის დანაწესებს.

## ვატიკანი

ქვემოთ განხილული ქვეყნებიდან, ბევრი მათგანის (ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, ლიეტუვა და აშშ), მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კათოლიკეა. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის გარდა, კათოლიკე სასულიერო პირებისთვის ასევე სავალდებულოა ვატიკანის კანონიკური სამართალი, რომელიც მათ პოლიტიკაში გარეგან უკრძალავს.

### წესი 287

§1. სასულიერო პირებმა, განსაკუთრებით, ხელი უნდა შეუწყონ სამართლიანობაზე დაფუძნებულ მშვიდობასა და ჰარმონიას, რასაც ხალხი უნდა მისდევდეს.

§2. მათ არ უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ პარტიებში და შრომითი გაერთიანებების მართვაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უფლებამოსილი საეკლესიო ხელისუფალის შეფასებით, ეკლესიის უფლებების დაცვა ან საერთო კეთილდღეობის ხელშეწყობა ამას მოითხოვს.<sup>1</sup>

ვატიკანის განმარტების თანახმად, აღნიშნული კრძალავს როგორც პოლიტიკური პარტიების წევრობას, ისე წინასაარჩევნო კამპანიებში კანდიდატებისთვის თუ პარტიებისთვის მხარდაჭერის გამოცხადებას.<sup>2</sup> მაგალითად, 2020 წლის ლიეტუვას საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში, ვილნიუსის ეპარქიამ მოუწოდა მღვდლებს, წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებები ეკლესიის ტერიტორიაზე არ გაემართათ.<sup>3</sup> თუმცა, ამას კათოლიკე სასულიერო პირები ყოველთვის არ იღებენ მხედველობაში (იხ. ქვემოთ). მით უმეტეს, კანონიკური სამართალი ყოველთვის არ უკრძალავს სასულიერო წევრებს, გააკეთონ განცხადებები ქრისტიანულ ფასეულობებსა და (პოლიტიკური) ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე. პირიქით, ვატიკანის მეორე კრების 1965 წლის დეკრეტის თანახმად, სასულიერო პირები უნდა „აჟღერებდნენ ზოგად პრინციპებს შექმნილი ნივთების დანიშნულებასა

<sup>1</sup> კანონიკური სამართლის კოდექსი, [https://www.vatican.va/archive/cod-iuris-canonici/eng/documents/cic\\_lib2-cann208-329\\_en.html#TITLE\\_III](https://www.vatican.va/archive/cod-iuris-canonici/eng/documents/cic_lib2-cann208-329_en.html#TITLE_III), ბოლოს ნანახია 2021 წლის 18 ოქტომბერს, ავტორის ხაზგასმა.

<sup>2</sup> შდრ. სამოქალაქო თავისუფლებების კათოლიკური ლიგა, „სასულიერო პირები და პოლიტიკა“ (Catholic Civil Rights League “The Clergy and Politics”), 2004, <https://ccrl.ca/publications/the-clergy-and-politics/#11>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 20 ოქტომბერს.

<sup>3</sup> შდრ. LNK, „სეიმის წინასაარჩევნო კამპანიამ ეკლესიებში გადაინაცვლა - პოლონეთის საარჩევნო კამპანიამ წირვა შეისყიდა“ (LNK, “Seimo rinkimų agitacija persikėlė į bažnyčias – mišias užpirko Lenkų rinkimų akcija”), 2020, <https://www.delfi.lt/news/daily/lithuania/seimo-rinkimu-agitacija-persikele-i-baznycias-misias-uzpirko-lenku-rinkimu-akcija.d?id=85368047>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 17 ოქტომბერს.

და სარგებლის, მშვიდობის, ომის, მატერიალური სიკეთეების სამართლიანი განაწილების და „ხალხთა ძმური თანაარსებობის“ შესახებ“.<sup>4</sup>

ამრიგად, როგორც ჩანს, საერთო კონსესუსია, რომ პოლიტიკურ ინსტიტუციებში ნებისმიერი აქტიური მონაწილეობა, მათ შორის, კანდიდატებისთვის საჯარო მხარდაჭერა, იკრძალება. თუმცა, იმავდროულად, კათოლიკე სასულიერო პირების მიერ ნებისმიერი სხვა (პოლიტიკური) განცხადების გაკეთება პრობლემას არ შეადგენს და სასურველიც კი არის.

### წინასიტორია: ვატიკანის მეორე კრება და კათოლიკური ეკლესიის მოდერნიზაცია

პაპი იოანე XXIII-ის ინიციატივით, ვატიკანის მეორე კრება (ვატიკანი II) გაიმართა 1962-1965 წლებში. ვატიკანის მეორე კრების უპრეცედენტო რეფორმატორული ძალისხმევის შედეგად, კათოლიკური ეკლესია ასპარეზზე გამოვიდა, ამჯერად, როგორც „თანამედროვე ეპოქის ეკლესია“.<sup>5</sup> აქამდე, ათწლეულების მანძილზე, კათოლიკური ეკლესია უარყოფითად ეკიდებოდა სამოქალაქო საზოგადოებაში მომხდარ პროგრესს (ტექნოლოგიის განვითარება, ლიბერალიზმი, გლობალიზაცია და ა.შ.). ბევრის გასაკვირად, ეკლესიის პროგრესულმა ძალებმა, პაპი იოანე XXIII-ის მხარდაჭერით, ვატიკანის მეორე კრების განმავლობაში ეკლესიის „გაახალგაზრდავება“ შეძლეს. რეფორმები მოიცავდა ლათინურ ენაზე წირვის დასასრულს და სამარხვო შეზღუდვების, აღსარების ვალდებულებების და საერო პირებისთვის წირვაზე დასწრებისას სამოსთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების შემსუბუქებას. კრებამ ეკლესიის კარი გაუხსნა პროტესტანტებს და სხვა ეკლესიებს და ოფიციალურად უარი თქვა სახელმწიფოებთან მიმართებაში ძალაუფლებაზე გაცხადებულ თავის პრეტენზიაზე.<sup>6</sup> ეს პროცესი აღიწერება, როგორც „ძველი წყობის (*ancien regime*) დამცველიდან რელიგიის თავისუფლების, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის წამყვან მოციქულად“ ტრანსფორმაცია.<sup>7</sup> ამრიგად, ვატიკანის მეორე კრება გარდამტეხი წერტილი იყო საერთო პოლიტიკაში, მათ შორის, წინასაარჩევნო კამპანიებში კათოლიკური ეკლესიის მონაწილეობის თვალსაზრისით. 1983 წლის კანონიკური სამართალი, 287-ე წესის ჩათვლით, რომელიც დღემდე მოქმედებს, ვატიკანის მეორე კრების შედეგების იმპლემენტაციაა.

<sup>4</sup> სამოქალაქო თავისუფლებების კათოლიკური ლიგა, „სასულიერო პირები და პოლიტიკა“ (Catholic Civil Rights League “The Clergy and Politics”), 2004, <https://ccrl.ca/publications/the-clergy-and-politics/#11>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 20 ოქტომბერს.

<sup>5</sup> ბრაუნი, ენდრიუ, „როგორ უპასუხა ვატიკანის მეორე კრებამ თანამედროვე მსოფლიოს“ (Brown, Andrew, “How the second Vatican council responded to the modern world”), *The Guardian*, 2012, <https://www.theguardian.com/commentisfree/andrewbrown/2012/oct/11/second-vatical-council-50-years-catholicism>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 21 ოქტომბერს.

<sup>6</sup> შდრ. უაილდი, მელისა, „ვის რა და რატომ უნდოდა ვატიკანის მეორე კრებაზე?“ (Wilde, Melissa, „Who Wanted What and Why at the Second Vatican Council?“), *Sociologica*, 2007, გვ. 1.

<sup>7</sup> ანდერსენი, თომას ბარნებეკი და იენსენი, პეტერ სანდჰოლტი, „დემოკრატიის ქადაგება: ვატიკანის მეორე კრება და მესამე ტალღა“ (Andersen, Thomas Barnebeck and Jensen, Peter Sandholt, “Preaching Democracy: The Second Vatican Council and the Third Wave”), *Journal of Comparative Economics* 47.3, 2019, გვ.გვ. 525-540, ხაზგასმა ორიგინალში.

## ჩეხეთის რესპუბლიკა

ჩეხეთის რესპუბლიკა ზოგადად აღიარებულია, როგორც მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე სეკულარული ქვეყანა.<sup>8</sup> 2011 წლის აღწერის მიხედვით, მოსახლეობის ყველაზე დიდი ჯგუფი კათოლიკეა, რაც მთელი მოსახლეობის 10.4 პროცენტს შეადგენს.<sup>9</sup> საბჭოთა კავშირის დაშლის და ჩეხოსლოვაკიის გაყოფის შემდეგ, სახელმწიფომ და ეკლესიებმა მხოლოდ 2012 წელს შეძლეს მორიგება, ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობებზე და მეორე მხრივ, საეკლესიო ქონების რესტიტუციაზე. ამ მორიგების თანახმად, ამჟამად მიმდინარეობს ტრანსფორმაცია სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ეკლესიების სისტემიდან ეკლესიისა და სახელმწიფოს სრულ გამიჯვნაზე, სრული ფინანსური დამოუკიდებლობის ჩათვლით.<sup>10</sup> ამას გარდა, საეკლესიო ქონების მეტი წილი რესტიტუციას დაექვემდებარა, ან მომავალში კომპენსირდება.

სახელმწიფოზე მეტი დამოკიდებულება ეკლესიებზე სახელმწიფოს მხრიდან მეტ კონტროლს ნიშნავდა. შესაბამისად, რელიგიური ორგანიზაციების ახლად მოპოვებული დამოუკიდებლობა გაძლიერებული რელიგიური თავისუფლების ნიშანია. მეორე მხრივ, ეს შეიძლება განიმარტოს, როგორც ჩეხი ხალხის სეკულარიზაციის საბოლოო ეტაპი. ამის მიუხედავად, სახელმწიფო გარკვეულწილად ინარჩუნებს კონტროლს. ეკლესიებისა და რელიგიური საზოგადოებების შესახებ 2002 წლის კანონის თანახმად, ეკლესიებმა სიახლეებსა და განხორციელებულ ღონისძიებებზე წლიური ანგარიში უნდა გამოაქვეყნონ. ამას გარდა, იმისთვის, რომ შეძლონ „სპეციალური უფლებების“ მოპოვება, მაგალითად, რელიგიის სწავლება საჯარო სკოლებში ან ქორწინების მოწმობების გაცემა, ეკლესიები უნდა დარეგისტრირდნენ და გამოაქვეყნონ მინიმუმ ათი წლიური ანგარიში. 2002 წლის კანონის მე-5 მუხლის თანახმად, მათ ეკრძალებათ სიმულვილის წაქეზება, ძალადობის ხელშეწყობა თუ საჯარო წესრიგის მძიმე დარღვევა.

<sup>8</sup> ნეშპოროვა, ოლგა და ნეშპორი, ჟდენეკ რ., „რელიგია: გადაუჭრელი პრობლემა თანამედროვე ჩეხი ერისთვის“ (Nešporová, Olga and Nešpor, Zdeněk R., “Religion: An Unsolved Problem for the Modern Czech Nation”), 2009, <https://esreview.soc.cas.cz/pdfs/csr/2009/06/03.pdf>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 25 ოქტომბერს.

<sup>9</sup> ჩეხეთის სტატისტიკის ოფისი, „2011 წლის მოსახლეობის აღწერა“ (Czech Statistical Office, “2011 Population Census”), <https://vdb.czso.cz/vdbvo2/faces/en/index.jsf?page=vystup-ob-jekt&pvo=OTCR111&z=T&f=TABULKA&katalog=30719&v=v122>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 17 ოქტომბერს.

<sup>10</sup> მინარიკი, პავოლ, „ეკლესია-სახელმწიფოს გამიჯვნა და საეკლესიო ქონების რესტიტუცია ჩეხეთის რესპუბლიკაში“ (Minarik, Pavol, “Church-State Separation and Church Property Restitution in the Czech Republic”), *Soc* 54, 2017, გვ.გვ. 459–465, <https://doi.org/10.1007/s12115-017-0173-2>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 22 ოქტომბერს.

ჩეხეთის რესპუბლიკის ძირითადი პოლიტიკური პარტიები (მაგალითად, სამოქალაქო დემოკრატიის პარტია, სოციალ დემოკრატები თუ ANO 2011) რელიგიურ გავლენას უფრო ხიან და ეკლესიებს აღიქვამენ, როგორც „სარგებელზე დახარბებულ სამოქალაქო ორგანიზაციებს“. <sup>11</sup> ამრიგად, პოპულისტური პარტია ANO 2011, სოციალ დემოკრატები და კომუნისტური პარტიები 2012 წლის მორიგებას ეწინააღმდეგებოდნენ. ისინი ამჯობინებდნენ სისტემას, სადაც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონება „კვლავაც მოქალაქეებისთვის არის დაცული“. <sup>12</sup> და

ცხადია, [კათოლიკური] ეკლესია მისწრაფვის, რომ თანაბრად გაემიჯნოს ყველა პოლიტიკურ პარტიას. თუმცა მის დღის წესრიგსა და ჩეხეთის მემარჯვენე ინტერესებს შორის აშკარა სხვაობა, რომელიც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს წინასაარჩევნო პერიოდში, კვლავაც უამრავ შესაძლებლობას აძლევს ODS-ს (მემარჯვენე „სამოქალაქო დემოკრატიული პარტია“), გააკრიტიკოს ეკლესია მისი პოლიტიკური მიკერძობების გამო. <sup>13</sup>

ეს ეხება იმ ფაქტს, რომ კათოლიკური ეკლესია რეგულარულად აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს, მაგალითად, რასიზმის წინააღმდეგ. <sup>14</sup> ამასთან, ჩეხი ეპისკოპოსების კრებამ საჯაროდ დაუჭირა მხარი ჩეხეთის ტელევიზიის სახედამხედველო საბჭოს კანდიდატებს, რომლებიც არჩეულნი იქნენ ჩეხეთის პარლამენტში და გაემიჯნა 2021 წლის საპარლამენტო არჩევნების მემარჯვენე კანდიდატს, რომელსაც ეკლესიასთან კავშირები ჰქონდა. <sup>15</sup> ჩეხეთის კანონმდებლობა რელიგიურ გავლენას წინასაარჩევნო კამპანიებზე არ არეგულირებს.

<sup>11</sup> ენიადი, ჟოლტ და ო'მაჰონი, ჯოანა, „ეკლესიები და დემოკრატიული კულტურის კონსოლიდაცია: განსხვავება და შერწყმა ჩეხეთის რესპუბლიკასა და უნგრეთში“ (Enyedi, Zsolt and O'Mahony, Joan, “Churches and the Consolidation of Democratic Culture: Difference and Convergence in the Czech Republic and Hungary”), 2004, <http://publications.ceu.edu/sites/default/files/publications/en13.pdf>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 17 ოქტომბერს, გვ. 188.

<sup>12</sup> ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, „Vira რეალობა“ (Czech Social Democratic Party, “Vira a reality”), 2013, ციტირებულია: ჰავლიჩეკი, იაკუბ და ლუჟნი, დუშან, „რელიგია და პოლიტიკა ჩეხეთის რესპუბლიკაში: კათოლიკური ეკლესია და სახელმწიფო“ (Havlicek, Jakub and Dušan Lužný, “Religion and Politics in the Czech Republic: The Roman Catholic Church and the State”), *International Journal of Social Science Studies*, 2013, გვ.გვ. 190-204.

<sup>13</sup> ენიადი, ჟოლტ და ო'მაჰონი, ჯოანა, „ეკლესიები და დემოკრატიული კულტურის კონსოლიდაცია: განსხვავება და შერწყმა ჩეხეთის რესპუბლიკასა და უნგრეთში“ (Enyedi, Zsolt and O'Mahony, Joan, “Churches and the Consolidation of Democratic Culture: Difference and Convergence in the Czech Republic and Hungary”), 2004, <http://publications.ceu.edu/sites/default/files/publications/en13.pdf>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 17 ოქტომბერს, გვ. 178.

<sup>14</sup> შდრ. იქვე, გვ.გვ. 184-5.

<sup>15</sup> შდრ. SB, ČTK, „ჩეხი ეპისკოპოსების კონფერენცია ემიჯნება ექსტრემისტების კანდიდატებს“ (SB, ČTK, “Czech Bishops Conference distances itself from candidates running with extremists”), ROMEA, 2021,

## გერმანია

გერმანიაშიც, რელიგიურ ორგანიზაციებსა და სასულიერო პირებს წინასაარჩევნო კამპანიებში მონაწილეობა კანონით არ ეკრძალებათ. თუმცა, დღესდღეობით, ყველა ეკლესიის სასულიერო პირი ეთანხმება, რომ ეკლესია საარჩევნო კამპანიაში პირდაპირ არ უნდა ერეოდეს. ადრე სხვაგვარად იყო. ვიდრე 1960-იან წლებში, ვატიკანის მეორე კრება პოლიტიკურ საქმიანობაში ჩარევის შეზღუდვაზე მოუწოდებდა, გერმანული კათოლიკური ეპისკოპალური კრება რეგულარულად აკეთებდა ოფიციალურ განცხადებებს ქრისტიან დემოკრატების (ან სოციალური) კავშირისთვის ხმის მიცემაზე. 1980 წლის წინასაარჩევნო კამპანიისას, ეპისკოპალურმა კრებამ კვლავ საჯაროდ დაუჭირა მხარი ქრისტიანულ კავშირს თავის პასტორალურ წერილში (ხოლო ცამეტმა პროტესტანტმა სასულიერო პირმა საჯაროდ დაუჭირა მხარი ქრისტიან დემოკრატებს). ამან სერიოზული პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია. სოციალ დემოკრატმა კანცლერმა ჰელმუტ შმიდტმა მკაცრად გააკრიტიკა კათოლიკური ეკლესია, ხოლო ქრისტიანული კავშირის პოლიტიკოსებს პროტესტანტების განცხადებები არ მოეწონათ.<sup>16</sup> ამის შემდეგ, პოლიტიკაში ეკლესიის როლის შემდეგი „თანამედროვე“ გაგება ჩამოყალიბდა. ეკლესიები საჯაროდ არ უჭერენ მხარს კანდიდატებსა თუ პარტიებს, მაგრამ სასულიერო მაღალჩინოსნები აკეთებენ ზოგად კომენტარებს პოლიტიკურ საკითხებზე, ხაზს უსვამენ რა ქრისტიანულ ღირებულებებს, განსაკუთრებით, არჩევნების წინა პერიოდში. აღნიშნული ფართოდ მიღებულია გერმანულ საზოგადოებაში და ამიტომ პოლიტიკასა თუ საზოგადოებაში დისკუსიას დიდად არ იწვევს. არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როცა ქადაგების დროს მღვდლები (არაპირდაპირ) უჭერენ მხარს ცალკეულ პარტიას.<sup>17</sup>

<http://www.romea.cz/en/news/czech/czech-bishop-apos-s-conference-distances-itself-from-candidates-running-with-extremists>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 18 ოქტომბერს.

<sup>16</sup> შდრ. Der Spiegel, „ეს არის სულიერი იძულება“ (Der Spiegel, „Das ist geistliche Nötigung“), *Der Spiegel*, 39/1980, 1980, <https://www.spiegel.de/politik/das-ist-geistliche-noetigung-a-398e0774-0002-0001-0000-000014331298>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 20 ოქტომბერს.

<sup>17</sup> შდრ. ჰაინრიჰი, ანდრეას, „ეკლესია წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობს“ (Heinrich, Andreas, „Kirche schaltet sich in Wahlkampf ein“), DERWESTEN, FUNKE Digital GmbH, 2014, <https://www.derwesten.de/staedte/muelheim/kirche-schaltet-sich-in-wahlkampf-ein-id9357385.html>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 8 ოქტომბერს.

## ლიცუვა

ლიეტუვაში, რელიგიური მოსახლეობის უმეტესობა კათოლიკეა. ეკლესიისა და რელიგიური ორგანიზაციების მონაწილეობა საარჩევნო კამპანიებში მოწესრიგებული არ არის. მიუხედავად ამისა, წარსულში, კათოლიკური ეკლესიის მაღალჩინოსნები სასულიერო პირებს მოუწოდებდნენ, კანონიკური სამართლის შესაბამისად, არ დაეჭირათ მხარი კანდიდატებისთვის და არ ჩაეტარებინათ წინასაარჩევნო კამპანიები ეკლესიის ტერიტორიაზე.<sup>18</sup> საინფორმაციო საშუალების *15min.lt* თანახმად, წინასაარჩევნო კამპანიის დროს, ეპისკოპოსებმა მიმართვები გაავრცელეს და კათოლიკე ამომრჩევლებს ის ღირებულებები და პრინციპები შეახსენეს, რაც არჩევნებს უნდა ედოს საფუძვლად, მაგრამ კანდიდატებისა თუ პარტიებისთვის პირდაპირ მხარი არ დაუჭერიათ. და მაინც, წარსულში ცალკეულ მღვდლებს მხარი დაუჭერიათ კანდიდატებისთვის, მაგალითად, 2019 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, რამაც მკაცრი კრიტიკა გამოიწვია.<sup>19</sup>

## გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებულ სამეფოში, საარჩევნო პროცესზე არასათანადო ზემოქმედება მოწესრიგებულია 1983 წლის სახალხო წარმომადგენლობის შესახებ კანონის 115-ე მუხლით:

### 115. არასათანადო ზემოქმედება.

- (1) პირს ბრალი მიუძღვის კორუფციულ პრაქტიკაში, თუ ბრალეულია არასათანადო გავლენის მოხდენაში.
- (2) პირი ბრალეულია არასათანადო გავლენის მოხდენაში —
  - (ა) თუ ის, პირდაპირ ან არაპირდაპირ, თავად თუ ნებისმიერი სხვა პირის მიერ, თავისი სახელით,

<sup>18</sup> შდრ. LNK, „სეიმის წინასაარჩევნო კამპანიამ ეკლესიებში გადაინაცვლა – პოლონეთის საარჩევნო კამპანიამ წირვა შეისყიდა“ (LNK, “Seimo rinkimų agitacija persikėlė į bažnyčias – mišias užpirko Lenkų rinkimų akcija”), 2020, <https://www.delfi.lt/news/daily/lithuania/seimo-rinkimu-agitacija-persikele-i-baznycias-misias-uzpirko-lenku-rinkimu-akcija.d?id=85368047>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 17 ოქტომბერს.

<sup>19</sup> შდრ. ტრაცევიჩიუტე, რობერტა, „მართალია, ეკლესია კრძალავს პოლიტიკას, მღვდლები საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიაში ერთვებიან“ (Tracevičiūtė, Roberta, “Nors Bažnyčia neleidžia politikuoti, kunigai įsitraukė į prezidento rinkimų kampaniją”), 2019, <https://www.15min.lt/naujiena/aktualu/lietuva/nors-baznycia-neleidzia-politikuoti-kunigai-isitrauke-i-prezidento-rinkimu-kampanija-56-1145772>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 17 ოქტომბერს.

გამოიყენებს ან აცხადებს მუქარას, რომ გამოიყენებს ნებისმიერ ძალას, ძალადობას ან შეზღუდვას, აყენებს ან აცხადებს მუქარას, რომ მიაყენებს თავად ან ნებისმიერი სხვა პირის მეშვეობით, საერო ან სასულიერო ზიანს, ზარალს, დაზიანებას ან დანაკარგს ნებისმიერ პირს, რათა წააქეზოს ან აიძულოს ეს პირი, ხმა მისცეს, ან თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან, ან იმ პირის გამო, რომელმაც ხმა მისცა ან თავი შეიკავა ხმის მიცემისგან; ან

(ბ) თუ ის გატაცებით, იძულებით ან ნებისმიერი თაღლითური მექანიზმით თუ მაქინაციით, აბრკოლებს ან ხელს უშლის [ან განზრახული აქვს, დააბრკოლოს ან ხელი შეუშალოს] ამომრჩევლის ან მისი შუამავლის მიერ ხმის მიცემის თავისუფალ გამოვლინებას, ან ამდაგვარად აიძულებს, აქეზებს ან ზემოქმედებას ახდენს [ან განზრახული აქვს ამდაგვარად აიძულოს, წააქეზოს ან ზემოქმედება მოახდინოს] ამომრჩეველზე ან მის შუამავალზე, ხმის მისაცემად ან ხმის მიცემისგან თავის შესაკავებლად.<sup>20</sup>

რაც შეეხება არასათანადო რელიგიურ ზეგავლენას, ბოლო ხანებში, საქმემ – ერლამი და ორსი რამანის და ანორის წინააღმდეგ (*Erlam and Ors versus Rahman and Anor*) – დისკუსია გამოიწვია. 2015 წელს, ლონდონის თაუერ ჰემლეტის მუნიციპალიტეტის მერი, ლუთფურ რამანი მსჯავრდებული იყო მის საარჩევნო კამპანიაზე „არასათანადო სასულიერო გავლენის“ გამო. არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, წერილი, რომელსაც ხელს აწერდა 101 მუსულმანი წინამძღოლი, ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნდა და წინამძღოლებმა მოუწოდეს ყველა მუსულმანს, ხმა მიეცათ რამანისთვის. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რამანს პირადად მიუძღოდა ბრალი, რადგან მტკიცებულება მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ წერილი დაწერილი იყო მის მიერ ან მისი წარმომადგენლის მიერ და მხოლოდ ხელმოწერილი იყო მუსულმანი წინამძღოლების მიერ. უფრო მეტიც, „მუსულმანი სასულიერო პირები მონაწილეობას იღებდნენ ლუთფურ რამანის კამპანიაში, რათა დაერწმუნებინათ მუსულმანი ამომრჩევლები, რომ რამანისთვის ხმის მიცემა მათი რელიგიური ვალი იყო.“<sup>21</sup> სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ:

როგორც 115-ე მუხლი ადგენს, არასათანადო ზეგავლენის კორუფციული პრაქტიკა, მოიცავს როგორც შეზღუდვითი განმარტებით, არასათანადო ზეგავლენას, როცა *ამომრჩევლის გონება დაზინდულია მორალური თუ რელიგიური ზემოქმედებით (ან მოტყუებით) პირის მხრიდან, რომელიც ამომრჩევლის მიერ აღიქმება, როგორც ხელისუფლების მქონე*, ისე ქმედებასაც, რომელიც უნდა კვალიფიცირდებოდეს,

<sup>20</sup> სახალხო წარმომადგენლობის შესახებ კანონი, 1983, მუხლი 115, <https://www.legislation.gov.uk/ukpga/1983/2/section/115>, ბოლოს ნაწახია 2021 წლის 8 ოქტომბერს.

<sup>21</sup> იურიდიული კომისიის ანგარიში „კამპანიის რეგულირებისა და საარჩევნო სამართალდარღვევების შესახებ“ (Law Commission Report on “The Regulation of the Campaign and Electoral Offences”), 2015; ციტირებულია: პოკლინგტონი, დავიდ, არასათანადო სასულიერო გავლენა - შემდგომში სად? (Pocklington, David, "Undue spiritual influence" – where next?), *Law & Religion UK*, 2016, <https://lawandreligionuk.com/2016/08/30/undue-spiritual-influence-where-next/>, ბოლოს ნაწახია 2021 წლის 8 ოქტომბერს.

როგორც იძულება, ანუ როცა გამოიყენება ფიზიკური საშუალებები, რათა პირმა ხელი შეუშალოს ამომრჩეველს, ან დააბრკოლოს იგი თავისუფალი არჩევანის განხორციელებაში.<sup>22</sup>

შესაბამისად, ბრიტანული კანონმდებლობით, უკანონოდ ითვლება (ადქმული) რელიგიური ხელისუფალის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ამომრჩევლებზე ზეწოლა. თუმცა, სასამართლოს შეფასებით, კანონმდებლობა უნდა გადასინჯულიყო, რადგანაც იგი სათავეს იღებდა მე-19 საუკუნეში და თანამედროვეობას აღარ შეესატყვისებოდა.<sup>23</sup> ამის შედეგია, რომ ამჟამად, ბრიტანული პარლამენტი 2021 წლის საარჩევნო კანონპროექტს განიხილავს (ამჟამად თემთა პალატაში საკომიტეტო განხილვის ეტაპზე), რაც 115-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის სრულ გადასინჯვას გულისხმობს. კანონპროექტი, რომელიც 2021 წლის ივნისში იქნა ინიცირებული, არასათანადო სასულიერო გავლენის პირდაპირ აკრძალვას ითვალისწინებს.

მოსამართლეებმა, რომლებიც რამანის საქმეს იხილავდნენ, აგრეთვე აღნიშნეს, რომ ყოველთვის წონასწორობა უნდა დამყარდეს რელიგიის თავისუფლებას (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი), გამოხატვის თავისუფლებას (ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი) და თავისუფალი არჩევნების უფლებას შორის (ევროპული კონვენციის ოქმის მე-3 მუხლი). ამ კონტექსტში, მოსამართლეებმა გადაწყვეტილებაში 1870 წლის პრეცედენტზე მიუთითეს:

მღვდელს თუ სხვა რელიგიურ ხელისუფალს აქვს რიგითი მოქალაქის უფლება, იქონიოს და გამოხატოს პოლიტიკური შეხედულებები და კანონი იცავს ამ უფლებას. როგორც ითქვა, არსებობს მიჯნა, რომელსაც მღვდელმა არ უნდა გადააბიჯოს და ეს მიჯნა მიღწეულია მაშინ, როცა მღვდელი იყენებს თავის რელიგიურ და მორალურ გავლენას, რათა ეცადოს „მანიპულირებას იმ პირთა შიშებით თუ ცრურწმენებით, რომელთაც იგი მიმართავს“, „ჩაუნერგოს სააქაოდ თუ საიქაოდ ჯილდოს მიღების იმედი“, ან „რომელიმე კანდიდატისთვის ხმის მიცემა გამოაცხადოს ცოდვად ან დანაშაულად, რომელსაც სააქაოდ თუ საიქაოდ სასჯელი მოჰყვება“.<sup>24</sup>

<sup>22</sup> გადაწყვეტილება [2015] მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო 1215 (QB), პუნქტი. 143, ხაზგასმა ავტორისაა.

<sup>23</sup> შდრ. გადაწყვეტილება [2015] მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო 1215 (QB), პუნქტები. 148 და 669.

<sup>24</sup> გადაწყვეტილება [2015] მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლო 1215 (QB), პუნქტი. 161; ციტირებს ლონგფორდის საგრაფოში მიღებულ ჯ. ფიცჯერალდის გადაწყვეტილებას, (1870) 2 O'M და H 6.

ზოგადად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ბრიტანული კანონმდებლობა მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, აუკრძალოს რელიგიურ ლიდერებს მათი (აღქმული) ხელისუფლების ბოროტად გამოყენება ამომრჩევლებზე ზეგავლენის მოხდენით, რაც ამომრჩევლებს ხელს უშლის, ხმა მისცენ თავისუფლად და მეორე მხრივ, არ შეეხოს სასულიერო პირების სამოქალაქო თავისუფლებებსა და ადამიანის უფლებებს.

## ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებში, რელიგია და პოლიტიკა უფრო გადაჯაჭვულია, ვიდრე ევროპული ქვეყნების უმეტესობაში. ეს ეხება წინასაარჩევნო კამპანიებში რელიგიური აქტორების როლსაც. რელიგიური აქტორები ესწრებოდნენ ბოლო, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ბევრ თუ არა, უმეტეს საარჩევნო ღონისძიებას და ორივე კანდიდატს, სხვადასხვა დროს, ეკლესიებში საჯარო გამოსვლები ჰქონდა. გარდა ამისა, კათოლიკური ჟურნალის *America - A Jesuit Review*-ის თანახმად, ყველა ეკლესიის მღვდელმსახურები რეგულარულად უცხადებენ საჯარო მხარდაჭერას ამა თუ იმ კანდიდატს და პოლიტიკურ ღონისძიებებში მონაწილეობენ.<sup>25</sup>

თუმცა, რელიგიური გავლენა წინასაარჩევნო კამპანიებში კანონით იზღუდება. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების საგადასახადო კოდექსის 1954 წლის ჯონსონის შესწორების თანახმად, ეკლესიები და რელიგიური ორგანიზაციები, ზოგადად, თავისუფლდებიან გადასახადების გადახდისგან მუხლი 501(გ)(3) საფუძველზე. მუხლი 504(ა)(2)(ბ) ადგენს, რომ ისინი დაკარგავენ ამ სტატუსს (და გადაიხდიან გადასახადებს), თუ მონაწილეობას მიიღებენ წინასაარჩევნო კამპანიაში. ორგანიზაციები კარგავენ გადასახადებისგან გათავისუფლების სტატუსს „(ბ) საჯარო თანამდებობის კანდიდატის სახელით (ან მის წინააღმდეგ) პოლიტიკურ კამპანიაში მონაწილეობის ან ჩარევის გამო.“<sup>26</sup>

შიდა შემოსავლების სამსახური თავის ვებგვერდზე განმარტავს:

<sup>25</sup> შდრ. კინი, ჯეიმს თ., „განმარტება: შეუძლია მღვდელს ან ღვთისმსახურს პოლიტიკური კანდიდატის საჯაროდ მხარდაჭერა?“ (Keane, James T., “Explainer: Can a priest or a member of a religious order publicly endorse a political candidate?”), *America – The Jesuit Review*, America Press Inc., 2020, <https://www.americamagazine.org/faith/2020/09/03/priest-religious-endorse-political-candidates-biden-trump-election-2020-republican-democrat-catholic>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 ოქტომბერს.

<sup>26</sup> აშშ-ის საგადასახადო კოდექსის მუხლი 504(ა)(2)(ბ), <https://www.law.cornell.edu/uscode/text/26/504>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 ოქტომბერს.

საგადასახადო კოდექსის თანახმად, ყველა ორგანიზაციას, რომელზეც მუხლი 501(გ)(3) მოქმედება ვრცელდება, არჩევითი საჯარო თანამდებობის კანდიდატის სახელით (ან მის წინააღმდეგ) პოლიტიკურ კამპანიაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობა თუ ჩარევა აბსოლუტურად ეკრძალება. პოლიტიკური კამპანიის ფონდებში შენატანები ან ორგანიზაციის სახელით გაკეთებული საჯარო განცხადებები თუ დაკავებული პოზიცია (სიტყვიერად თუ წერილობით), ნებისმიერი საჯარო თანამდებობის კანდიდატის სასარგებლოდ თუ წინააღმდეგ, პირდაპირ არღვევს პოლიტიკური კამპანიის აქტივობის აკრძალვას. ამ აკრძალვის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახადებისგან გათავისუფლებული სტატუსის უარყოფა ან გაუქმება და შესაბამისი გადასახადების დაწესება.

გარკვეული აქტივობები ან ხარჯების გაწევა შეიძლება ნებადართული იყოს, ფაქტებისა და გარემოებების გათვალისწინებით. მაგალითად, *ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ზოგიერთი აქტივობა (მათ შორის, საჯარო ფორუმების პრეზენტაცია და ამომრჩეველთა ცნობიერების ასამაღლებლად სახელმძღვანელოს გამოქვეყნება)*, რომელიც ტარდება არაპარტიული გზით, არ შეადგენს აკრძალულ პოლიტიკურ კამპანიას. გარდა ამისა, სხვა აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობის წახალისებას, მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო პროცესში, მაგალითად, ამომრჩეველთა რეგისტრაცია და ამომრჩეველთა აქტივობის გასაზრდელად მიმართული ღონისძიებები, არ ჩაითვლება აკრძალულ პოლიტიკურ კამპანიად, თუ ჩატარდება არაპარტიული გზით.

მეორე მხრივ, თუ არსებობს მტკიცებულება, რომ *ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებისა თუ რეგისტრაციის ღონისძიებები მიკერძოებულია (ა) რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ და სხვა კანდიდატის საწინააღმდეგოდ, (ბ) რაიმე გზით კანდიდატის წინააღმდეგ არის მიმართული, ან (გ) შედეგად მოჰყვება კანდიდატის ან კანდიდატების ჯგუფისთვის მხარდაჭერა, შეადგენს აკრძალულ მონაწილეობას ან ჩარევას.*<sup>27</sup>

ამრიგად, ეს წესი კრძალავს *ნებისმიერ* პარტიულ ღონისძიებას იმ ორგანიზაციების მხრიდან, რომლებზეც ვრცელდება მუხლი 501(გ)(3) მოქმედება, თუმცა, იგი ზოგადად პოლიტიკურ საქმიანობას არ კრძალავს. ის ფაქტი, რომ ეკლესიები და რელიგიური ორგანიზაციები მაინც თამაშობენ როლს საარჩევნო კამპანიაში, შეიძლება აიხსნას, მინიმუმ, სამი მიზეზით. პირველ რიგში, კანდიდატებს და პოლიტიკოსებს შეუძლიათ საჯარო გამოსვლა ეკლესიებში თუ რელიგიური ორგანიზაციების შეკრებებზე, თუ ისინი აქტიურ კამპანიას არ ეწევიან. თუ ეკლესია დარწმუნდება, რომ ღონისძიება არაპარტიულია, კანდიდატების მიერ მრევლისადმი მიმართვა კანონდარღვევა არ იქნება.<sup>28</sup> მეორე, ეს

<sup>27</sup> შიდა შემოსავლების სამსახური, „პოლიტიკური კამპანიის ჩარევის შეზღუდვა მუხლი 501(გ)(3) მიერ - გადასახადისგან გათავისუფლებული ორგანიზაციები“ (Internal Revenue Service, “The Restriction of Political Campaign Intervention by Section 501(c)(3) Tax-Exempt Organizations”), 2021, <https://www.irs.gov/charities-non-profits/charitable-organizations/the-restriction-of-political-campaign-intervention-by-section-501c3-tax-exempt-organizations>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 ოქტომბერს, ხაზგასმა ავტორისაა.

<sup>28</sup> შდრ. გრანტი, ტობინ, „შეუძლიათ პოლიტიკურ კანდიდატებს ეკლესიაში საჯარო გამოსვლა? დიახ, თუ ისინი დაცემენ ამ ხუთ წესს“ (Grant, Tobin, “Can political candidates speak at churches? Yes, if they follow these five rules”), *Religion News Service*, 2016, <https://religionnews.com/2016/09/15/can-political-candidates-speak-at-churches-yes-if-they-follow-these-five-rules/>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 ოქტომბერს.

რეგულაცია ვრცელდება ორგანიზაციებზე და არა ცალკეულ მღვდლებსა თუ სასულიერო პირებზე. ამიტომ, თუ მღვდელი საჯაროდ მხარს უჭერს პოლიტიკურ კანდიდატს ან პარტიას ოფიციალური ღონისძიებების მიღმა, აღნიშნულზე ზემოხსენებული რეგულაციის მოქმედება არ გავრცელდება. მესამე, ჟურნალ *America*-ს მიხედვით, რეგულაცია თითქმის არასოდეს აღსრულებულა.<sup>29</sup> პირიქით, კონსერვატიულმა ქრისტიანულმა არაკომერციულმა ადვოკატირების ჯგუფმა *Alliance Defending Freedom* მოაწყო მრავალი ღონისძიება, სადაც დაფიქსირებულია მღვდლების მიერ თავიანთ ქადაგებებში კანდიდატების საჯაროდ მხარდაჭერა. ვიდეოები გადაეგზავნა შიდა შემოსავლების სამსახურს. თუმცა, ამ უკანასკნელს გამოწვევაზე, სავარაუდოდ, რეაგირება არ ჰქონია.<sup>30</sup>

საბოლოო ჯამში, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ რელიგიის ზეგავლენა აშშ-ის წინასაარჩევნო კამპანიაზე რეალურად მეტწილად დაურეგულირებელია. ერთადერთი არსებული შეზღუდვა გათვალისწინებულია საგადასახადო კანონმდებლობაში, რომელიც სანქციის სახით გადასახადისგან გათავისუფლებული სტატუსის დაკარგვას ითვალისწინებს. ეს წესიც კი ცხარე დებატების საგანია (მაგალითად, დონალდ ტრამპმა, თავისი პრეზიდენტობის პერიოდში, წამოაყენა წინადადება, რომ მუხლი 504(ა)(2)(ბ) გაუქმებულიყო).<sup>31</sup> ამ დროს, გასათვალისწინებელია, რომ შეერთებული შტატები ძალზე რელიგიური და ლიბერალური ქვეყანაა. ამიტომ, რელიგიის თავისუფლება ძირეული ფასეულობაა და ხელისუფლება ძალზე ფრთხილად ეკიდება მისი შეზღუდვის საკითხს. შედეგად, რელიგურ აქტორებს დიდი თავისუფლება აქვთ, გავლენა იქონიონ ხმის მიცემაზე.

### დეტალი: ობამას 2008 წლის წინასაარჩევნო კამპანია და ეკლესია

თავის პირველ წინასაარჩევნო კამპანიაში, ობამა პირდაპირ ეცადა მორწმუნე ქრისტიანების გადაბირებას, რომლებიც უფრო რესპუბლიკელებს აძლევდნენ ხმას. ამ მიზნით, მან ხაზი გაუსვა ეკლესიის პოზიტიურ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუმცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, უფრო ხშირად, თავად ობამას რელიგიური კუთვნილება ექცეოდა. უწინარეს ყოვლისა, ამომრჩეველთა დაახლოებით 10 პროცენტი

<sup>29</sup> შდრ. კინი, ჯეიმს თ., „განმარტება: შეუძლია მღვდელს ან დვთისმსახურს პოლიტიკური კანდიდატის საჯაროდ მხარდაჭერა?“ (Keane, James T., „Explainer: Can a priest or a member of a religious order publicly endorse a political candidate?“), *America – The Jesuit Review*, America Press Inc., 2020, <https://www.americamagazine.org/faith/2020/09/03/priest-religious-endorse-political-candidates-biden-trump-election-2020-republican-democrat-catholic>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 ოქტომბერს.

<sup>30</sup> შდრ. პატისონი, მარკ, „უნდა შეეძლოთ ეკლესიებს პოლიტიკოსების საჯაროდ მხარდაჭერა? სასულიერო პირებმა ზუსტად არ იციან“ (Pattison, Mark, „Should churches be able to endorse politicians? Clergy aren't so certain“), *America – The Jesuit Review*, America Press Inc., 2017, <https://www.americamagazine.org/politics-society/2017/02/07/should-churches-be-able-endorse-politicians-clergy-arent-so-certain>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 15 ოქტომბერს.

<sup>31</sup> შდრ. იქვე.

მიიჩნევდა, რომ ობამა მუსულმანი იყო, მიუხედავად მისი მცდელობისა, კამპანიის დროს თავი ქრისტიანად წარმოეჩინა. ამასთან, „ობამას მოძღვრის“<sup>32</sup> - ჩიკაგოს ქრისტეს სამების ეკლესიის მრევლის წინამძღვრის, ღირსი იერემია რაითის განცხადებებმა გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია. რაითის ქადაგებას მკაფიო ანტისახელმწიფოებრივი რიტორიკა ახლდა. იგი სახელმწიფო ხელისუფლებას რასიზმში სდებდა ბრალს. მაგალითად, ის ამტკიცებდა, რომ 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმა სახელმწიფო ხელისუფლებამ გამოიწვია, რასაც საზღვარგარეთ გაცილებით უფრო მეტი ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, ვიდრე 2001 წელს. ამის გამო, ობამამ და მისმა ოჯახმა ეკლესია არჩვენებამდე სულ რაღაც რამდენიმე თვით ადრე დატოვეს. და მაინც, ობამამ შეძლო გაცილებით უფრო მეტი ქრისტიანის მობილიზაცია, ვიდრე მისმა წინამორბედმა დემოკრატმა კანდიდატებმა, როგორც ამას *Pew Forum* ანალიზი აჩვენებს.<sup>33</sup>

## დასკვნა

ყველაზე მეტად, საქართველო ამერიკის შეერთებულ შტატებს ემსგავსება. ორივე ქვეყანაში, რელიგიურ ორგანიზაციებს ეკრძალებათ პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ეს აკრძალვა ინდივიდებზე არ ვრცელდება. ერთადერთი განსხვავებაა ის, რომ შეერთებულ შტატებში აღნიშნული საგადასახადო კოდექსით არის მოწესრიგებული, ხოლო საქართველოში - საარჩევნო კოდექსით. განხილული ქვეყნებიდან ერთადერთი, სადაც რელიგიური გავლენა წინასაარჩევნო კამპანიებზე იკრძალება, არის გაერთიანებული სამეფო. აქ კანონმდებლობა ამჟამად გადასინჯვის პროცესშია. თუმცა კანონი უფრო მკაცრი ჩანს - არა მხოლოდ ორგანიზაციებს, არამედ ინდივიდებსაც ეკრძალებათ ამომრჩეველზე ზემოქმედება, თუ ისინი მოქმედებენ, როგორც რელიგიური ხელისუფალი (ან აღიქმებიან, როგორც ასეთი). სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკაში, გერმანიასა და ლიეტუვაში სახელმწიფო არ არეგულირებს რელიგიური ორგანიზაციებისა და სასულიერო პირების წინასაარჩევნო კამპანიებში მონაწილეობას. თუმცა, ვინაიდან ამ ქვეყნების დომინანტური ეკლესიები დათანხმდნენ, რომ პოლიტიკისგან თავი შორს დაეჭირათ, წინასაარჩევნო კამპანიებზე პირდაპირი ზემოქმედების შემთხვევები იშვიათია.

<sup>32</sup> როსი, ბრაიან და ელ-ბური, რეჰაბ, „ობამას მოძღვარი: ღმერთმა დაწყევლოს ამერიკა, 11 სექტემბერი აშშ-ის ბრალი“ (Ross, Brian and El-Buri, Rehab, “Obama’s Pastor: God Damn America, U.S. to Blame for 9/11”), *abcNEWS.go.com*, 2008, <https://abcnews.go.com/Blotter/Story?id=4443788>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 17 ოქტომბერს.

<sup>33</sup> შდრ. Pew Research Center, „რელიგია და პოლიტიკა 2008 წელს: ბარაკ ობამა“ (Pew Research Center, “Religion and Politics ‘08: Barack Obama”), 2008, <https://www.pewforum.org/2008/11/04/religion-and-politics-08-barack-obama/>, ბოლოს ნანახია 2021 წლის 17 ოქტომბერს.